# საბანკო საქმე

## დარგობრივი დოკუმენტი - სამუშაო ვარიანტი

## I. სფეროს აღწერა

საბანკო საქმე წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დარგობრივ სფეროს. შესაბამისად იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მენეჯმენტთან, ფინანსებთან, საბუღალტრო აღრიცხვასთან, ეკონომიკასთან და ბიზნესის სამართალთან. მათემატიკა, სტატისტიკა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საბანკო საქმის მნიშვნელოვან ხელშემწყობ დარგებს განეკუთვნება.

საბანკო საქმის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ პროფესიაზე. აღნიშნულ სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი იძლევა ზოგად ცოდნას ბანკის საქმიანობის ძირითადი საკითხების შესახებ, რაც სტუდენტის ფართო კომპეტენციით მომზადებას ნიშნავს.

ბაკალავრს ბანკში შეუძლია დაიკავოს სპეციალისტის ან ქვედა და საშუალო დონის მენეჯერის პოზიცია. მაგალითად - საკრედიტო ანალიტიკოსი, კომერციული მსესხებელი, ფილიალის მენეჯერი, ბანკის აუდიტორი, რისკების მენეჯერი.

## II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

ბაკალავრის ხარისხის მისაღებად შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის პროგრამების შემუშავება:
1. საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის კრედიტების 75% ეთმობა საბანკო საქმის და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 25% - ზოგად დისციპლინებს.
2. საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ძირითადი სპეციალობის ანუ საბანკო დისციპლინების შესწავლას კრედიტების დაახლოებით 50%-ს უთმობს, დანარჩენი 50% კი ნაწილდება ზოგად და დამატებითი სპეციალობებზე. სასურველია, რომ დამატებითი სპეციალობა აძლიერებდეს ძირითადი სპეციალობის პროფილს.

პირველ შემთხვევაში გაიცემა ხარისხი - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბანკო საქმეში (BBA in Banking) და მეორე შემთხვევაში კი ბაკალავრი საბანკო საქმეში (BSc in Banking).

## III. სწავლის შედეგები

### 1. დარგობრივი კომპეტენციები:

#### 1.1. დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება

- ფლობს ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლებს.
- გააჩნია ცოდნა ფინანსური მომსახურების, მისი მრავალსახეობებისა და ფინანსური მომსახურების გაყიდვის თავისებურებების შესახებ;
- გააჩნია ცოდნა ფინანსური ბაზრების შესახებ;
- გააჩნია ცოდნა ფინანსური ინსტიტუტების შესახებ და აცნობიერებს ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობას;
- საბანკო სექტორსა და ეკონომიკის დანარჩენ სფეროებს შორის ურთიერთობების გაცნობიერება;

- გააჩნია ცოდნა ორგანიზაციების და ბანკების ნაციონალური და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ;
- ფლობს კრედიტის და სესხის გაცემის პრინციპებს;
- ფლობს საბანკო სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
- აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობას ორგანიზაციაში და საზოგადოებაში.

**1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები/ პრაქტიკული უნარები**

- იყენებს ელექტრონული ცხრილების კომპანიის მუშაობის შედეგების ანალიზისისათვის;
- კომპანიის ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენების უნარი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადების უნარი;
- ბანკში ან საბანკო ოპერაციებში არსებული რისკების შეფასების უნარი;
- საბანკო პროდუქტების გაყიდვის ინსტრუმენტების გამოყენების უნარი;
- საბანკო სფეროს საინფორმაციო ბაზების გამოყენება;
- კლიენტთან მუშაობის უნარი;
- დარგობრივი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოგროვება, ანალიზი და გადაწყვეტილების არგუმენტირება;
- საბანკო საქმესთან დაკავშირებული ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების გამოყენება.

## 2. ზოგადი კომპეტენციები:

2.1. ანალიზისა და სინთეზის უნარი

- დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი სამეცნიერო ცოდნის და ბიზნესის სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
- შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება;
- გააჩნია თვითანალიზის უნარი.

2.2. პრობლემის გადაჭრა. შეუძლია

- მონაცემების ინტერპრეტაცია;
- კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტირება;
- მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბება;
- პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა;
- გადაწყვეტიების მიღების პრიციპების დასაბუთება და დაცვა.

2.3. დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი

- შეუძლია დასახული მიზნის მისაღწევად შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენა;
- შეუძლია სპეციფიკური სამუშაოების ან კომპონენტების გამოყოფა და განრიგების შედგენა;
- სამუშაოს შესრულება წინასწარ დაგეგმილ ვადებში.

2.4. კომუნიკაციის უნარები - კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; უცხო ენის ცოდნა

- შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან;
- შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება;
- შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით წერილობით , ასევე ზეპირად წარდგენა /პრეზენტაცია.
- ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე – დამოუკიდებელი მოსაუბრე ბიზნესის სფეროში კომუნიკაცია - ინგლისური ენის შემსაწვლელს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური

საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.

კითხვა – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება.

წერა – შეუძლია წერილობით ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

2.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი

- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- შეუძლია ელექტრონული დოკუმენტებთან, ელექტრონული ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- საინფორმაციო სისტემების ტიპების იდენტიფიცირება;
- ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი.

2.6. ჯგუფში მუშაობის უნარი

- მონაწილეობას ღებულობს ჯგუფური გადაწყვეტგილებების შემუშავებაში;
- ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას;
- ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში;
- პატივს სცემს მრავალფეროვნებას.
- შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

2.7. სწავლის უნარი

- შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
- დამოუკიდებლად მუშაობს სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან, რეგულარულად ანახლებს ცოდნას დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.

2.8. კვლევის უნარი

- კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

2.9. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

- შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად.
- შეუძლია ინიციატივის გამოჩენა;
- პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა;

2.10. პროექტების შემუშავებისა და მართვის უნარი

- შეუძლია კვლევითი და ბიზნეს პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება.

## V. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ უნდა იქნეს პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, პროექტები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ბიზნეს-კომპანიაში პრაქტიკის გავლით, კომპანიაში ვიზიტებით და ასევე პრაქტიკოსი მენეჯერების სასწავლო პროცესში მონაწილეობით.

სტუდენტის წარმატებების გაზომვის მიზნით შეფასების ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა

წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე ფორმატიულიც.

---

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა ევრაზიის ფორნდის მიერ დაფინანსებული პროექტის „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ფარგლებში. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

1. მარინე ქარჩავა - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
2. დიმიტრი ჯაფარიძე - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. გიორგი სიმონგულაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტი
4. ზურაბ ნიკვაშვილი - ერნსტ & იანგ ჯორჯია
5. ვლადიმერ კირვალიძე - ჯიემს ჰოლდინგი